კარი II
მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების სტატისტიკა

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტში საჩივრების განხილვის შედეგები

2011 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განსახილველად იმყოფებოდა 940 განცხადება (საჩივარი, წერილი), საიდანაც 880 შემოვიდა 2011 წელს.

აღნიშნული განცხადებების (საჩივრების, წერილების) შესწავლის შედეგად:

1. 422 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეთა მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა – 44,9%;
2. 19 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით – 2,0%;
3. 7 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტება – 0,8%, საიდანაც:

ა) 2 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეები მიეცნენ დისციპლინურ პასუხისგებაში;

ბ) 3 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით;

გ) 2 დისციპილინურ საქმეზე მიმდინარეობს გამოკვლევა.

4. სხვა განცხადებებთან (საჩივრებთან, წერილებთან) გაერთიანდა იგივე საკითხებზე განმეორებით შემოსული, ასევე გადაიგზავნა ქვემდებარეობით და მოქალაქეებს ეცნობათ პასუხი – 431 განცხადებაზე და წერილზე – 45,9%;
5. 61 საჩივრის (განცხადების) საფუძველზე მიმდინარეობს დისციპლინარული სამართალწარმოება – 6,5%.

2. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში საქმეთა განხილვის შედეგები

2011 წელს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში განსახილველი იყო 27 დისციპლინური საქმე, მათ შორის 2011 წელს შემოვიდა 2.

2011 წელს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში განხილულ იქნა 25 დისციპლინური საქმე - 24 მოსამართლის მიმართ:

1. 2 დისციპლინარულ საქმეზე დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით (2 მოსამართლე).

2. 5 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – შენიშვნა (4 მოსამართლე).

3. 9 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – საყვედური (9 მოსამართლე).

4. 2 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – მკაცრი საყვედური (2 მოსამართლე).

5. 2 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება (1 მოსამართლე).

6. 6 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით შეწყდა დისციპლინური საქმის წარმოება (6 მოსამართლე).

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში შემოსული საჩივრების განხილვის შედეგები

2011 წლის განმავლობაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში შემოვიდა საჩივრები საქართველოს საერთო სასამართლოებოს მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2 გადაწყვეტილებაზე და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 3 გადაწყვეტილებაზე. ამათგან, საქმის განხილვა დამთავრდა 4 საქმეზე, რომელთაგან:

– სამ საქმეზე გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, ხოლო ერთ გადაწყვეტილებაზე შეწყდა საქმის წარმოება.